

ଲେଖକ



მილან კუნდერა

გამოსათხოვარი  
ვალსი

ორგანიზაცია  
მაძლივობების

მილან კუნდერა  
გამოსატევარი ვალსი

Milan Kundera  
LA VALSE AUX ADIEUX

ფრანგულიდან თარგმნა პაატა ჯავახიშვილმა

გარეკანზე: კერის-მარია ჰაინდერსის ფოტო „წყვილის ჩრდილი ლინკოლნის მემორიალზე ვაშინგტონში“

© Milan Kundera 1973, 1986

All rights reserved.

All adaptations of the work for film, theatre, television and radio are strictly prohibited.

© გამომცემლობა „დიოგენე“ 2008, 2013, 2024  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-857-9

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ვუძღვნი ფრანსუა კერელს



ପ୍ରକାଶକ ମୂଲ୍ୟ



# I

შემოდგომა იწყება და ხეებს ყვითელი, წითელი და ყავისფერი ედება; ლამაზ ხეობაში გაშენებული პატარა საკურორტო ქალაქი თითქოს ხანძრის აღშია გახვეული. თაღების ქვეშ ქალები გადი-გა-მოდიან და წყაროებს ეწაფებიან. ამ ქალებს შვილები არ უჩნდებათ და ამ თერმულ წყლებში ნაყოფიერებას ეძებენ.

სწორის მამაკაცი ბევრად ნაკლებია, თუმცა აქა-იქ მაინც გადააწყდებით, რადგან, როგორც ჩანს, ეს წყლები, გარდა იმისა, რომ გინეკოლოგიური ლირსებებითაა დაჯილდოებული, გულისთვისაც ფრიად მარგებელია. მიუხედავად ყველაფრისა, ერთ მამრ სწორზე ცხრა მდედრი მოდის. ეს ამბავი კი სულ მთლად აცოფებს ერთ ახალგაზრდა გასათხოვარ ქალს, რომელიც აქ ექ-თნად მუშაობს და, კერძოდ, უშვილობის სამკურნალოდ ჩამოსული ქალების აუზი აბარია.

რუსენა აქ დაიბადა და გაიზარდა, მამაც აქა ჰყავს და დედაც. ნეტა ოდესმე თუ გაულიმებს ბედი და თუ დააღწევს თავს აქაურობას, სადაც ქალები ასე საშინლად ფუთფუთებენ?

ორშაბათია და სამუშაო დღე უკვე იწურება. კიდევ რამდენიმე მსუქანი ქალი უნდა გაახვიოს ზენარში, მოსასვენებელ საწოლზე გააწვინოს, სახე მოუმშრალოს და გაულიმოს.

— ჰა, დაურეკავ? — ეკითხებიან რუსენას თანამშრომლები — ერთი ორმოციოდე წლის ფერხორციანი ქალი და მეორე უფრო ახალგაზრდა და ტანთხელი გოგო.

- რატომაც არა! – პასუხობს რუჟენა.
- მიდი, მიდი! ნუ გეშინია! – ამზნევებს ფერხორციანი და გა-სახდელის უკან მიუძღვება, სადაც ექთნებს კარადა, მაგიდა და ტელეფონი აქვთ.
- ახია მაგაზე, სახლში დაურეკო, – ბოროტად შენიშნავს გამ-ხდარი და სამივენი აკისეისდებიან.
- მარტო თეატრის ნომერი ვიცი, – ეუბნება რუჟენა, როცა სიცილ-კისკისი მიწყნარდება.

2

საუბარი საშინელი გამოდგა. ყურმილში რუჟენას ხმა რომ გაი-გონა, ელდა ეცა.

ქალები ყოველთვის შიშის ზარს სცემდნენ, თუმცა არც ერთ მათგანს ეს არ სჯეროდა და ამ ამბავს კეკლუცურ ოხუნჯობაში უთვლიდნენ.

- როგორა ხარ? – ჰკითხა კაცმა.
- ვერა ვარ კარგად, – უპასუხა ქალმა.
- რა არის?
- უნდა დაგელაპარაკო, – პათეტიკურად მიუგო ქალმა.

სწორედ ასეთ პათეტიკურ ტონს ელოდა ძრწოლით წლების მანძილზე.

- რა? – მოგუდული ხმით ჰკითხა კაცმა.

რუჟენამ გაიმეორა:

- უსათუოდ უნდა დაგელაპარაკო.

- რა ხდება?

- ხდება რაღაც, რაც ჩვენ, ორივეს, გვეხება.

კაცს კრიჭა შეეკრა. ცოტა ხნის მერე გაიმეორა:

- რა ხდება-მეთქი?

- ექვსი კვირაა, ის არ მომსვლია.

კაცმა რის ვაივაგლახით მოთოკა თავი და თქვა:

- მერე რა, ეგეთები ხდება. ეგ არაფერსაც არ ნიშნავს.
- არა, ამჯერად ეგაბა.
- შეუძლებელია. გამორიცხულია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ბრალი ვერაფრით ვერ იქნება.

რუსენა გალიზიანდა.

- შენ მე ვინ გგონივარ?

კაცს შეეშინდა, არ შეურაცხვყო, რადგან უეცრად ყველაფრის შეეშინდა.

– არა, საწყენად კი არ გეუბნები, რა სისულელეა, რად მინდა შენი წყენინება. უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ შეუძლებელია, მე დამმართოდა ეს, რომ შენ არაფრის არ უნდა გეშინოდეს. ეს ამბავი სრულიად შეუძლებელია... ფიზიოლოგიურადაა შეუძლებელი.

– მაშინ აზრი არა ჰქონია, – თქვა სულ უფრო და უფრო გალიზიანებულმა გოგომ. – მაპატიე, რომ შეგანუხე.

კაცს შეეშინდა, ყურმილი არ დაკიდოსო.

– არა, არა, ნამდვილად არ შეგინუხებივარ. პირიქით, კარგი ქენი, რომ დარეკე! სიამოვნებით დაგეხმარები, რასაკვირველია. ნამდვილად მოგვარდება ყველაფერი.

- „მოგვარდებაში“ რას გულისხმობ?

კაცმა უხერხულობა იგრძნო. ვერ ბედავდა, ყველაფრისთვის თავისი სახელი დაერქმია:

- ჰო... კი... აბა რა... ისააა... მოგვარდება.

– ვიცი, რის თქმაც გინდა. ჰოდა, არც იფიქრო! დაივიწყე ეგ აზრი. მთელი ცხოვრებაც რომ გამიმწაროს ამ ამბავმა, მაინც არ ვიზამ.

კაცს ისევ დამბლა დაეცა ძრწოლისგან, მაგრამ ამჯერად მორცხვად გადავიდა შეტევაზე:

– მაშინ რატომდა მირეკავ, თუკი ჩემთან ლაპარაკი არ გინდა? გინდა ჩემთან ერთად მაგის განხილვა თუ უკვე მიღებული გაქვს გადაწყვეტილება?

- შენთან ერთად განხილვა მინდა.

- მაშინ ჩამოვალ და გნახავ.
- როდის?
- შეგატყობინებ წინასწარ.
- კარგი.
- მაშ, ნახვამდის, ჰო?
- ნახვამდის.

კაცმა ყურმილი დაკიდა და მიაშურა ოთახს, სადაც ორკესტრი ელოდებოდა.

– ბატონებო, რეპეტიცია დამთავრებულია, – თქვა მან. – ამ-ჯერად არაფრის თავი აღარ მაქვს.

### 3

ყურმილი რომ დაკიდა, რუსენა ბრაზისგან მთლად გაწითლებულიყო. კლიმას ქცევამ ამ ამბის გაგებისას ნამდვილად შეურაცხყო გოგო. სხვათა შორის, უკვე დიდი ხანი იყო, რაც ისედაც შეურაცხყოლად გრძნობდა თავს.

ერთმანეთი ორი თვის წინ, ერთ საღამოს გაიცნეს, როდესაც სახელმოხვეჭილმა მესაყვირემ თავის ჯგუფთან ერთად ამ საკურორტო ქალაქში დაუკრა. კონცერტის მერე წაიქიდეს და გოგოც მიიპატიუეს. მესაყვირემ ის სხვებს შორის გამოარჩია და ღამეც ერთად გაატარეს.

მას შემდეგ კაცს სიცოცხლის ნიშანწყალი არ მოუცია. გოგომ ორი ლია ბარათი გაუგზავნა, მაგრამ კაცს არც ერთზე არ გაუცია პასუხი. ერთ დღეს, როცა გოგო გავლით იყო დედაქალაქში, თეატრში დაურეკა, სადაც, მისი ცნობით, კაცი თავის ჯგუფთან ერთად ატარებდა ხოლმე რეპეტიციებს. ვიღაც კაცმა, რომელმაც ყურმილი აიღო, ვინ ბრძანდებითო, ჰყითხა და მერე უთხრა, ახლავე დავუძახებ კლიმასო. როდესაც დაბრუნდა, რამდენიმე წამის შემდეგ, რეპეტიცია დამთავრებულა და მესაყვირე წასულაო, უთხრა. ნეტა ეს თავის არიდების ერთგვარი ხერხი ხომ არ არისო, გაიფიქრა

გოგომ და ისეთი წყენა იგრძნო, რომ უკვე მაშინ შეშინდა, ვაითუ ორსულად ვარო.

— დაუჩემებია, გინდა თუ არა ფიზიოლოგიურად შეუძლებელია... რა კარგია?! ფიზიოლოგიურად შეუძლებელი! პატარა რომ გაჩნდება, ნეტა მაშინ რაღას ბრძანებს, ერთი ვიცოდე?!

ორივე თანამშრომელმა ქალმა გულმხურვალედ მოუწონა ეს სიტყვები. ერთ დღეს, როდესაც ორთქლით გაუდენთილ დარბაზში ამცნო მათ, წუხელ ენით გამოუთქმელი საათები გავატარე სახელოვან ადამიანთან ერთადო, მესაყვირე მაშინვე ყველა თანამშრომლის საერთო მონაპოვრად იქცა. მისი აჩრდილი მუდამ თან სდევდათ დარბაზებში, სადაც ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და, თუ ვინმე სადმე ახსენებდა მის სახელს, ქალები ჩუმი ფხუკუნით იცინოდნენ, თითქოს მათთვის ძალიან ახლო ნაცნობზე ყოფილიყოს ლაპარაკი. ხოლო როცა შეიტყვეს, ვაჟბატონს რუჟენა დაურსულებიაო, ყველას რაღაც უცხო სიამე დაეუფლა, რადგან ამიერიდან კაცი უკვე ფიზიკურადაც მათთან იყო ექთნის საშვილოსნოს მიკარგულ სიღრმეებში ჩაბუდებული.

ფერხორცუანმა ბეჭებზე ხელი მოუტყაბუნა:

— კარგი, კარგი, ჩემო გოგო, დამშვიდდი! ნახე, შენთვის რა მაქვს...

და თვალწინ რომელიდაც სურათებიანი უურნალის ბინძური და დაჭმუჭნილი ნომერი გადაუშალა.

— შეხედე!

სამივენი ესტრადაზე გამოჭიმული და ტუჩებთან მიკროფონ-მომარჯვებული ახალგაზრდა და პენიანი შავგვრემანი ქალის ფოტოს დააშტერდნენ.

რუჟენა ცდილობდა, ამ რამდენიმე კვადრატულ სანტიმეტრზე თავისი ბედისწერა ამოეცნო.

— არ ვიცოდი, ასეთი ნორჩი თუ იყო, — თქვა გულაჩქროლებულმა.

— კარგი, რა! — გაიღიმა ფერხორცუანმა. — ათი წლის წინანდელი ფოტოა. ტოლები არიან ასაკით. ეს ქალი შენ მეტოქეობას ვერ გაგინევს!

რუსენასთან ტელეფონით საუბრის დროს კლიმას გაახსენდა, რომ ამ თავზარდამცემ ამბავს უკვე კაი ხანია, ელოდა. ნამდვილად არავითარი საფუძველი არა ჰქონია, ეფიქრა, გინდა თუ არა მე გავა-ნაყოფიერე რუსენა იმ საბედისწერო საღამოსო (პირიქით, დარწმუნე-ბულიც კი იყო ამ ბრალდების უსამართლობაში), მაგრამ ასეთ შეტ-ყობინებას უკვე წლების მანძილზე, რუსენას გაცნობამდეც ელოდა.

ოცდაერთი წლისა იყო, როდესაც მასზე შეყვარებულმა ერ-თმა ქერა გოგონამ, ცოლად მოყვანა რომ ეიძულებინა, ფეხმძი-მობა მოიმიზება. შავბნელი კვირები დაუდგა მაშინ კლიმას, კუჭის სპაზმები დაეწყო, ბოლოს კი საერთოდაც ავად გახდა. იმ დროიდან მოყოლებული, იცოდა, რომ ორსულობა ისეთი ოინია, რომელიც ნებისმიერი ადგილიდან ნებისმიერ დროს შეიძლება გამოტყვრეს, ოინი, რომლის წინააღმდეგ არანაირი მეხამრიდი არ არსებობს და რომელიც პათეტიკური ტონით ცხადდება ტელეფონში (იმჯერადაც ქერა გოგონამ ეს დამაქცეველი ამბავი ტელეფონით აუწყა). ოც-დაერთი წლის ასაკში თავს გადახდენილმა ამ შემთხვევამ ის ქნა, რომ მას შემდეგ ყოველთვის შიშის ურუანტელით უახლოვდებოდა ხოლმე ქალებს (თუმცა ამავდროულად არც ცდას აკლებდა) და ყოველი სასიყვარულო პაემნის შემდეგ ცახცახით ელოდა ავბედით შედეგებს. ბევრი მსჯელობის შედეგად თავი კი დაირწმუნა, ჩემი ავადმყოფური სიფრთხილის წყალობით ამგვარი ბედუკულმართო-ბის ალბათობა პროცენტის მეათასედს ძლიერ თუ აღწევსო, მაგრამ პროცენტის ამ მეათასედისგანაც კოჭებში ეპარებოდა სული.

ერთხელ, თავისუფალი საღამოსგან ცდუნებულმა, ერთ ახალ-გაზრდა ქალს დაურეკა, რომელიც, კაი ორი თვე იქნებოდა, არ ენახა. ქალმა ხმაზე იცნო თუ არა, შეჰყვირა:

— ღმერთო ჩემო, შენა ხარ?! ერთი სული მქონდა, შენი ზარი გამეგონა! ისე მჭირდებოდა, რომ დაგერეკა!

ამ ყოველივეს ისეთი დაუინებით და ისეთი პათოსით ამბობდა, რომ ჩვეული ელეომელეთებისგან გულგახეთქილმა კლიმამ მთელი

არსებით იგრძნო, ძრწოლის მომგვრელი წამი აი ახლა დადგაო. და რადგანაც უნდოდა, რაც შეიძლება გაუჯანჯლებლად შეეხედა სი-მართლისთვის სახეში, სასწრაფოდ გადავიდა შეტევაზე:

- აბა რატომ მეუბნები მაგას ეგეთი ტრაგიკული ხმით?
- დედა გარდამეცვალა გუშინ, – მიუგო გოგომ და კლიმამაც შვებით ამოისუნთქა, თუმც კი მშვენივრად იცოდა, რომ უბედურება, რომლისგანაც დღენიადაგ გული უსკდებოდა, მაინც არ ასცდებოდა ერთ დღეს.

## 5

– ეგ უკვე მეტისმეტია. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? – იკით-ხა დასარტყმებზე დამკვრელმა და კლიმამ, როგორც იქნა, გონება მოიკრიბა. გარშემო თავისი მუსიკოსების შენუხებული სახეები დაინახა და აუხსნა, რაც ხდებოდა. კაცებმა თავ-თავიანთი საკრავები დააწყვეს და გადაწყვიტეს, რჩევებით დახმარებოდნენ.

პირველი რჩევა რადიკალური გამოდგა: გიტარისტმა, რომელიც თვრამეტი წლისა გახლდათ, განაცხადა, რომ ქალი, რომელმაც მათ უფროსს და მესაყვირეს დაურეკა, უხეშად უნდა ყოფილოყო უკუგდებული.

– უთხარი, როგორც გინდა, ისე ქენი-თქო. ბავშვი ჩემგან არ არის და მე არაფერი მესაქმება ამ ყველაფერთან-თქო. თუ მაინც არ დაიშლი შენსას, სისხლის ანალიზი აჩვენებს, მამა ვინაა-თქო.

კლიმამ ყურადღება გაამახვილა იმ ამბავზე, რომ სისხლის ანალიზით ბევრი ვერაფერი მტკიცდება და ასეთ შემთხვევაში ქალის ბრალდებები მიიღება მხედველობაში.

გიტარისტმა უპასუხა, სისხლის ანალიზი საერთოდ არ ჩატარდება და ამ ხერხით უარყოფილი ახალგაზრდა ქალი თვითონვე მიხვდება, რომ უსარგებლო ნაბიჯების გადადგმისგან თავი უნდა შეიკავოს და როდესაც საბოლოოდ დარწმუნდება, რომ მისგან ბრალდებული მამაკაცი ლაჩარი და ქალაჩუნა არ არის, თავისივე ხარჯით მოიცილებს ბავშვსო.

— და თუ მაინც გააჩენს, ჩვენ, ყველანი — ორკესტრის ყველა მუსიკოსი — მივალთ სასამართლოში და ჩვენების სახით განვაცხადებთ, რომ იმხანად ჩვენ ყველანი ვკოტრიალობდით მაგ ქალის ლოგინში. ჰოდა, ეძებონ მამა ჩვენ შორის!

მაგრამ კლიმამ აღნიშნა:

— დარწმუნებული ვარ, უკან არ დაიხევთ ჩემი გულისთვის. მაგრამ იქამდე დიდი დროა და გაურკვევლობა და შიში გადამრევს. ასეთ ამბებში დედამინის ზურგზე ყველაზე მხდალი მამაკაცი ვარ და, უნინარეს ყოვლისა, საიმედო დასაყრდენი მჭირდება.

ყველა დაეთანხმა. გიტარისტის მეთოდი, კაცმა რომ თქვას, მისაღები იყო, მაგრამ არა ყველასთვის. განსაკუთრებით გაუმართლებელი ჩანდა ისეთი ვინძესთვის, ვისაც ნერვები არ უვარგა. ეს არც რომელიმე სახელოვანი და მდიდარი მამაკაცის შემთხვევაში ივარგებდა, რა დროსაც ქალებს უღირთ ასეთ სარისკო საქმეში ჩაბმა. მაშასადამე, იმ მოსაზრებაზე შეთანხმდნენ, რომ ქალისთვის უხეშად ხელის კვრის ნაცვლად საჭირო იყო დაყვავება და მისი დარწმუნება აპორტის აუცილებლობაში. მაგრამ რა არგუმენტები აერჩიათ? აქ სამი უმთავრესი ხერხი შეიძლებოდა განეხილათ:

პირველი გოგონას გულში თანაგრძნობის აღძვრას ითვალისწინებდა: კლიმა ექთანს, როგორც თავის საუკეთესო მეგობარს, ისე დაელაპარაკებოდა, სინრფელით მიენდობოდა ყველაფერში, გამოუტყდებოდა, რომ ცოლი მძიმედ ჰყავს ავად და მოკვდება, თუ გაიგებს, რომ მის ქმარს სხვა ქალთან შვილი ჰყავს; რომ კლიმა ვერც ზნეობრივი თვალსაზრისით აიტანდა ამგვარ სიტუაციას და ვერც თავისი ნერვების მდგომარეობით; და რომ ევედრებოდა ექთანს, მოწყალება მოედო.

მაგრამ ეს ხერხი ერთ საფუძვლიან წინააღმდეგობას აწყდებოდა. მთელ სტრატეგიას ვერ დააფუძნებდნენ ისეთ საეჭვო და არა-საიმედო რამეზე, როგორიც ექთნის დიდსულოვნება და კეთილშობილებაა. მართლაც კეთილი და თანამგრძნობი გული იყო საჭირო იმისთვის, რომ ეს ხრიკი კლიმას საწინააღმდეგოდვე არ შემოტრიალებულიყო. შეიძლება ქალი კიდევ უფრო აგრესიულად მოქცეუ-

ლიყო, როცა შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს იმ ყურადღებისა და პატივისცემის გამო, რომელსაც მისი შვილის მამად შერჩეული მამაკაცი სხვა ქალის მიმართ იჩენდა.

მეორე ხერხი ახალგაზრდა ქალის კეთილგონიერებას ემყარებოდა: კლიმა შეეცდებოდა, აეხსნა მისთვის, რომ არ იყო და ვერც ვერასდროს იქნებოდა დარწმუნებული, რომ ბავშვი მართლა მას ეკუთვნოდა. ექთან ქალს მხოლოდ ერთი კინკილა შეხვედრით იცნობდა და საერთოდ არაფერი იცოდა მის შესახებ. მას წარმოდგენა არა ჰქონდა, ვინმე სხვასაც ხვდებოდა თუ არა გოგო. არა, არა, იმას კი არ ეჭვობდა, რომ გოგო განგებ ატყუებდა, მაგრამ, ამავე დროს, ვერც გოგო შეუდგებოდა იმის მტკიცებას, სხვა კაცებს არა ვხვდებიო! და კიდეც რომ დაემტკიცებინა ეს, საიდან უნდა ყოფილიყო დარწმუნებული კლიმა, რომ გოგო მართალს ამბობდა? და აბა რა ჭკუა იქნებოდა, გაეჩინა ბავშვი, რომლის მამაც ვერასოდეს იქნებოდა დარწმუნებული თავის მამობაში? შეეძლო კლიმას, მიეტოვებინა ცოლი ბავშვის გულისთვის, რომლის შესახებაც არ იცოდა, მისი იყო თუ არა? და განა თვითონ რუსენას უნდოდა ისეთი შვილი, რომელსაც არასდროს ეცოდნებოდა, მამა ვინაა?

ეს ხერხიც მეტად საეჭვოდ წარმოჩნდა: კონტრაბასისტმა (ჯგუფის ყველაზე ასაკოვანმა მამაკაცმა) ყველას საყურადღებოდ განმიარტა, რომ ახალგაზრდა ქალის კეთილგონიერებაზე ფიქრი კიდევ უფრო დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა, ვიდრე მისი თანაგრძნობის იმედად ყოფნა. არგუმენტაციის ლოგიკა ზოგადად გვარიანად კი ურტყამდა მიზანში, მაგრამ ახალგაზრდა ქალს გული გაებზარებოდა, საყვარელმა კაცმა ჩემი სინრფელე როგორ არ ირწმუნაო. ყველაფერი კი იმით დამთავრდებოდა, რომ ქალი კიდევ უფრო შეუპოვრად მოიქცეოდა, გაჯიქდებოდა და ბოლოს ქვასაც ააგდებდა და თავსაც შეუშვერდა.

დაბოლოს, იყო მესამე ხერხიც: მომავალ დედას კლიმა შეჰვიცავდა, რომ უყვარდა და ახლაც უყვარს. რაც შეეხება იმას, რომ ბავშვი შეიძლება სხვისი ყოფილიყო, ამაზე უმცირესი მინიშნებაც კი არ უნდა გაკეთებულიყო. პირუკუ, ახალგაზრდა ქალი კლიმას

ნდობის, სიყვარულისა და სინაზის მორევში უნდა ჩაეთრია. ყველაფერს უნდა შეჰპირებოდა, გაყრის ჩათვლით. თავიანთი გასაოცარი მომავალი უნდა დაეხატა. და შემდგომ სწორედ ამ მომავლის სახელით სთხოვდა ორსულობის შეწყვეტას. აუხსნიდა, რომ ბავშვის დაბადება ნაადრევი იქნებოდა და მათი სიყვარულის პირველ, ყველაზე ლამაზ წლებს იმთავითვე და ერთბაშად მოუღებდა ბოლოს.

ამ დასაბუთებას აკლდა ის, რაც ასე უხვად მოიძევებოდა წინაში – ლოგიკა. აბა როგორ იქნებოდა კლიმა თავდავინყებით შეყვარებული ექთანზე, მაშინ, როცა ორი თვის განმავლობაში ყველანაირად გაურბოდა და ემალებოდა? მაგრამ კონტრაბასისტი ამტკიცებდა, შეყვარებულები მუდამ არალოგიკურად იქცევიან და ახალგაზრდა ქალისთვის ამის ახსნა ამა თუ იმ სახით არავითარ სირთულეს არ წარმოადგენსო. საბოლოოდ ყველა შეთანხმდა, რომ ეს მესამე ხერხი სავარაუდოდ ყველაზე დამაკმაყოფილებელი გამოდგა, ვინაიდან იგი ახალგაზრდა ქალის სიყვარულს ეხმიანებოდა, სიყვარული კი წინამდებარე გარემოებათა შორის ერთადერთ შედარებით სარწმუნო საყრდენს წარმოადგენდა.

## 6

თეატრიდან გამოვიდნენ და ქუჩის კუთხესთან გაიყარნენ, თუმცა გიტარისტმა კლიმა სახლის კარამდე მიაცილა. მხოლოდ ის არ იწონებდა შემოთავაზებულ გეგმას. ეს გეგმა მართლაც შეუფერებელი ეჩვენებოდა სათაყვანებელი თავიაცისთვის:

– როდესაც ქალთან მიდიხარ, მათრაზი თან წაილეო! – მოიხმო ამონარიდი ნიცშედან, რომლის სრულ ნაშრომთაგან მხოლოდ ამ ფრაზას იცნობდა.

– მათრაზი იმას უჭირავს, ჩემო კარგო, – ამოიგმინა კლიმამ.

გიტარისტმა შესთავაზა, მანქანით წამოგყვები საკურორტო ქალაქში, გამოვიტყუოთ გოგო და სადმე შარაგზაზე მივაჭყლიტოთო.

— ვერც ვერავინ დაამტკიცებს, რომ თვითონ არ შემივარდა ბორბლებქეშ.

გიტარისტი ჯგუფის ყველაზე მცირენლოვანი მუსიკოსი გახლდათ და ძალიან უყვარდა კლიმა.

— რა კეთილი ხარ, — უთხრა ამ სიტყვებით გულაჩუყებულმა კლიმამ.

გიტარისტმა ისე დეტალურად წარმოადგინა გეგმა, რომ ლო-  
ყებზე ალმური აუვიდა.

— ძალიან კეთილი ხარ, მაგრამ ეგ შეუძლებელია, — წაიბლუ-  
ყუნა კლიმამ.

— რატომ ყოყმანობ, არ ეტყობა, რა ჩათლახი ქალიცაა?!

— მართლა უზომოდ კეთილი ხარ, მაგრამ ეგ შეუძლებელია, —  
გაიმეორა კლიმამ და გიტარისტს დაემშვიდობა.

## 7

მარტო რომ დარჩა, ჯეელი კაცის წინადადებას და იმ მიზეზებს ჩაუფიქრდა, რამაც ეს წინადადება უკუაგდებინა. უარი იმიტომ კი არ თქვა, რომ გიტარისტზე უფრო კეთილშობილი გახლდათ, არა, უპრალოდ უფრო გაუბედავი იყო. მკვლელობაში თანამონანილეობის ბრალდების შიში მისი მამობისთვის ფარდის ახდის შიშს სულ არ ჩამოუვარდებოდა. ჯერ წარმოიდგინა, როგორ დაეჯახა მანქანა რუსენას, მერე წარმოიდგინა, როგორ ინვა რუსენა გზატყეცილზე, სისხლის გუბეში და ამით მოჩვენებითი შვება-ნუგეში იგრძნო. მაგრამ იცოდა, რომ ხილვებსა და ოცნებებში ჩაძირვა არ არგებდა. და დიდი დარდი შემოაწვა. ცოლი გაახსენდა... ღმერთო დიდებულო! მეორე დღეს ხომ ცოლის დაბადების დღე იყო!

ექვსს რამდენიმე წუთი აკლდა, მაღაზიები კი ზუსტად ექვს საათზე იკეტებოდა. თავ-პირის მტვრევით შეგარდა საყვავილეში და ვარდების უზარმაზარი თაიგული იყიდა. რა მძიმე საღამო ელოდა დაბადების დღეზე! თავი უნდა მოეჩვენებინა, რომ ვითომ მას-

თანაა გულით და სულით, მთელი თავისი არსება მისთვის უნდა მიეძღვნა, სინაზე გამოეჩინა, გაერთო, ეცინა... მთელი ამ დროის განმავლობაში კი ერთი წამით ვერ მოიშორებდა ფიქრს ერთ გაბერილ მუცელზე. თავს ძალას დაატანდა და თავაზიან სიტყვებს წარმოთქვამდა, მაგრამ გონიერა სადღაც შორს, იმ უცხო საშოს ბნელ საკანში ექნებოდა გამომწყვდეული.

მიხვდა, რომ ამ დაბადების დღის შინ გატარება მის ძალებს აღემატებოდა და გადაწყვიტა, რუსენას მონახულება მეტად არ გადაევადებინა.

მაგრამ მაინცდამაინც არც ეს პერსპექტივა ეპიტნაგებოდა დიდად. მთებში ჩაკარგული საკურორტო ქალაქი უდაბნოდ ესახებოდა. იქ არავის არ იცნობდა იმ ამერიკელი სნეულის გარდა, რომელიც ძველი დროის მდიდარ ბურჟუასავით იქცეოდა და რომელმაც კონცერტის მერე მთელი ჯგუფი მიიპატიუა თავის აპარტამენტში, სასტუმროში რომ ეჭირა... მუსიკოსებს შესანიშნავი სასმელები თავზე დააყარა და მკურნალი პერსონალის რჩეული ქალებიც თავს დაახვია. ასე და ამგვარად, ირიბი პასუხისმგებლობა მასაც ეკისრებოდა იმ ყველაფერზე, რაც შემდგომ რუსენას და კლიმას შორის მოხდა. ჰოს, ოლონდ ეს კაცი, რომელმაც უზომო სიმპათია გამოხატა მაშინ მის მიმართ, ისევ საკურორტო ქალაქში დახვედროდა! კლიმა ამ წარმოსახვას, როგორც წყალწალებული ხავსს, ისე ჩაეჭიდა, რადგან ასეთ მომენტებში მამაკაცს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება სხვა მამაკაცის მეგობრული გაგება.

თეატრში მიბრუნდა და ყარაულის ოთახში შეყოვნდა. ტელეფონით საქალაქთაშორისო შეუკვეთა. ძალიან მალე ყურმილში რუსენას ხმა გაისმა. ხვალვე ჩამოგაკითხავო, უთხრა გოგოს. კრინტი არ დაუძრავს იმ ამბავზე, რომელიც გოგომ ამცნო რამდენიმე საათის წინ. ისე ელაპარაკა, თითქოს ლალი და უდარდელი საყვარლები ყოფილიყვნენ.

ვითომ სხვათა შორის ჰკითხა:

- ის ამერიკელი ისევ მანდაა?
- ჰო! – მიუგო რუსენამ.